



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თასი

თასი, 1. ოქროს, ვერცხლის ან სხვა ლითონის პირგაშლილი სასმისი. ქართ. წერილობით წყაროებში X ს-იდან გვხვდება. ფეოდ. საქართველოში მეფე-დიდებულთა და თავადაზნაურთა ნადიმებზე ღვინის სმა უმთავრესად ოქროს ან ვერცხლის სასმისებით იყო მიღებული. საყურადღებოა, რომ აღმ. საქართველოს მთიელებში საქორწილო ლხინში სადღეგრძელოს გადალოცვის უფლებას „თასი“ ერქვა. არქეოლ. გათხრების შედეგად საქართვ. ტერიტორიაზე მრავალი **თ.** არის აღმოჩენილი: თრიალეთის გორასამარხში – ერთი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს **თ.**, მეორე – ვერცხლისა, რ-ზეც რიტუალური სცენაა გამოსახული; მესხეთში – ძვირფასი ქვებით მოჭედილი, ყურძნის მტევნებისა და ვაზის ფოთლების გამოსახულებით შემკული ვერცხლის **თ.** და სხვ.;

2. ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი ხის, თიხის და სხვ. ლითონის ჯამის ფორმის საოჯახო ჭურჭელი;

3. ძვირფასი ლითონის, ბროლის ან ფაიფურის დეკორ. ჭურჭელი გამარჯვებულ სპორტსმენთა და ხელოვანთა დასაჯილდოებლად.

ლიტ.: ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1972; ფ რ უ ი ძ ე ლ., მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, წგ. 1, თბ., 1974; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. 5, თბ., 1982.

ლ. ფრუიძე
